თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“
P.S.
„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

ბილოცავთ დამდეგ
შობა-ახალ წელს!
ბედნიერი 2019 წელი
დამდგარიყოს თქვენს ოჯახებში!

№9 (789) 24-31 დეკემბერი, 2018 | გამოდის 1995 წლიდან | ფასი: 70 თეთრი

წლის მთავარი მოვლენა -

საქართველომ თავისი არსებობის ისტორიაში პირველად აირჩია ქალი პრეზიდენტი

საქართველოს არჩეულმა პრეზიდენტმა, ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა 16 დეკემბერს, თელავში გამართულ ინაუგურაციაზე ფიცის დადების შემდეგ, სიტყვით მიმართა საქართველოს მოსახლეობას და იქ შეკრებილ სტუმრებს. გთავაზობთ ამ სიტყვას სრულად:

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ფიცის დადების შემდეგ ქართველ ჯარისკაცებს მიესალმა

„მოგესალმებით, ბატონო პრემიერ-მინისტრო, ბატონო პარლამენტის თავმჯდომარეე,

მოგესალმებით, უწმინდესო და უნეტარესო, ჩვენი ერის სულიერო წინამძღოლო,

მივესალმები პატივცემულ სტუმრებს, მივესალმები მთელ საქართველოს, ჩვენს აფხაზ და ოს ძმებს!

მოგესალმებით,საზღვარგარეთ მცხოვრებოთანამემამულეებო, მეტადრე თქვენ, ვინც საგანგებოდ ამ დღისთვის ჩამობრძანდით და ახლა ჩვენთან ერთად ხართ. განსაკუთრებული ემოციით მოგესალმებით თქვენ, პირველი ემიგრაციის შთამომავლებო!

ძალიან ნიშანდობლივია, რომ სწორედ ახლა, როდესაც ჩვენ დამოუკიდებლობის აღდგენის ასი წლისთავს ვზეიმობთ, მე, ემიგრაციაში დაბადებული, გავხდი საქართველოს პრეზიდენტი.

ამით შეიკრა ერთგვარი წრე: რუსეთის მეთერთმეტე არმიის შემოსევისა და საბჭოთა ოკუპაციის შედეგად წასული ემიგრაციის შთამომავალი,დღეს, კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილებით, დამოუკიდებლობის დამცველად და უმაღლეს მთავარსარდლად ვბრუნდები.

დღეს, როგორც მრავალჯერ თავისი ისტორიის განმავლობაში, საქართველო ისევ გზაჯვარედინზეა, - კიდევ ერთხელ ვდგავართ დიდი გამოწვევების წინაშე. აქ, თელავში, კარგად ჩანს ჩვენი განვლილი გზა - ბრძოლებით, გამოწვევებითა თუ წარმატებებით. ეს ადგილი ქართველი ერისთვის, ერთგვარად, ისტორიული მეხსიერების ბარათია:

მეფე ერეკლე იბრძოდა ქვეყნის განვითარებისა და ერთიანობისთვის.მან შექმნა თანამედროვე ქართული ჯარი და გაიმარჯვაარაერთ ბრძოლაში. იგი საფუძველს უყრიდა ევროპული ყაიდის სახელმწიფოს.

აქ, თელავში, დაიმსხვრა მეფე ერეკლეს გეგმები, რომლებიც უკავშირდებოდათანამედროვე სახელმწიფოს შექმნას, ახალი სტანდარტების დამკვიდრებას,ქვეყნის ევროპულ გზაზე დაყენებას.

აქ შეჩერდა ჩვენი ქვეყნის განვითარება, - საქართველოს ჩაუკეტეს გზა დამოუკიდებელი, ერთიანი, ძლიერი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისკენ. ეს ბევრმა მიზეზმა განაპირობა, მათ შორის, მტრის განზრახვამ.

თუმცა დამოუკიდებლობის აღდგენით დავუბრუნდითევროპული სახელმწიფოს მშენებლობას, დღეს ჩვენს წინ ისევ გადამწყვეტი ეტაპია.

თელავიდან კარგად ჩანს გასავლელი გზა. ქვეყნის გაერთიანება, საზოგადოების დამშვიდება, გაძლიერება და ევროპაში ჩვენი ადგილის დამკვიდრება - ეს არის ჩემი უმთავრესი მიზანი.

ჩვენ წლები დავკარგეთ პოლიტიკურ დაპირისპირებაში. მე, პირველ რიგში, თავად მივცემ მაგალითს ჩემს თანამოქალაქეებს და დავარწმუნებ მათ, რომ საქართველოს განვითარებისა და გამთლიანებისთვის ეროვნული თანხმობა არის არსებითად მნიშვნელოვანი.

მე გადავწყვიტე, დღეს აქ ჩამოვსულიყავი,აქ დამედო ფიცი და აქედან მიმემართა ფართო საზოგადოებისთვის,სწორედ იმ ადგილიდან, სადაც დამაკლდა მხარდაჭერა.

მადლიერი ვარ მათი, ვინც ხმა მომცა არჩევნებში.მადლიერი ვარ „ქართული ოცნების“, რომელმაც, როგორცპრეზიდენტობის დამოუკიდებელ კანდიდატს, მხარი დამიჭირა და ამით დემოკრატიული ნაბიჯი გადადგა.

პატივს ვცემ მათ, ვინც ხმა არ მომცა. ისიც ვიცი, რომსხვადასხვა პარტიას აქვს განსხვავებული პოზიცია, თუნდაც, ჩემიპრეზიდენტად აღიარებასთან დაკავშირებით.

თუმცა,დღეიდან,კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილებით ვიღებ პასუხისმგებლობას, ვიყო ყველას პრეზიდენტი, ყველა საქართველოს მოქალაქის პრეზიდენტი. ეს დემოკრატიის მთავარი პრინციპია. ამ პასუხისმგებლობასა და ცნობიერებაზე დგას თანამედროვე სახელმწიფო.

მე დავიცავ მოქალაქის უფლებებსა და თავისუფლებებს, ვიქნები კანონის უზენაესობის გარანტი; ვიზრუნებ იმისათვის, რომ გავაძლიეროთ სამოქალაქო საზოგადოება და ავამაღლოთ პოლიტიკური კულტურა.

საზოგადოებრივი თანხმობის მიღწევაში მნიშვნელოვანი პოზიტიური როლის შესრულება შეუძლია თითოეულ მოქალაქეს, თავისუფალ მედიასა და არასამთავრობო სექტორს.

დღეს, როდესაც გავხდი საქართველოს მეხუთე პრეზიდენტი, ვამაყობ იმით, რომ ჩვენ შევძელით პრეზიდენტის თანამდებობის გადაბარება მშვიდობიანი და ცივილიზებული ფორმით. ამით კიდევ ერთი დემოკრატიული ნაბიჯი გადაიდგა.

უნდა აღინიშნოს, რომ დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველოს აღმშენებლობის გზაზე ყველა პრეზიდენტმა თავისი აგური დადო:

ერთი საუკუნის წინ, პირველი რესპუბლიკის მეთაურებმა იმ დროისთვის თანამედროვე და პროგრესული კონსტიტუცია მიიღეს;

უდიდესი როლი ითამაშა ზვიად გამსახურდიამ, როცა დანიშნა რეფერენდუმი და მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი;

ედუარდ შევარდნაძემ პირველმა გაჭრა გზა ევროპული და ევროატლანტიკური სივრცისკენ;

მიხეილ სააკაშვილმა თავისი მმართველობის საწყის ეტაპზე საფუძველი ჩაუყარა არაერთ მნიშვნელოვან რეფორმას;

გიორგი მარგველაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში გადაიდგა ნაბიჯები დემოკრატიული პროცესის გაძლიერებისკენ, გამყარდა სტაბილურობა.

ჩემი მიზანია, ყველაფერი გავაკეთო იმისათვის, რომ ჩვენი სახელმწიფოს განვითარება, მისი ევროპული მომავალი გახდეს შეუქცევადი და ვერაფერმა ვერშეაფერხოს ჩვენი მთავარი მიზნის მიღწევა.

სახელმწიფოს განვითარების გზა გადის გაძლიერებულ და გაცოცხლებულ რეგიონებზე.ვფიქრობ, ნიშანდობლივია, რომ დღეს პრეზიდენტის ინაუგურაცია ტარდება არა ქვეყნის დედაქალაქში, არამედ ერთ-ერთ რეგიონში, კახეთში, და ეს ჩემი არჩევანია.

თანამედროვე, ევროპული ტიპის სახელმწიფო გულისხმობს რეგიონებისა და დედაქალაქის თანაბარ განვითარებას. საქართველოს საყრდენი ისტორიულად ყოველთვისიყო მისი მხარეები და მათი სიძლიერე. ჩვენ შეგვიძლია, ეს ისტორიული გამოცდილება და თანამედროვე ევროპული მაგალითი შევაჯეროთ.

საქართველოს რეგიონებში არის ძალიან დიდი პოტენციალი, ამიტომ ჩვენ მათ უნდა მივცეთ მაქსიმალური შესაძლებლობები წინსვლისთვის და გავუხსნათახალი პერსპექტივები.

ჩემი, და დარწმუნებული ვარ, თითოეული ქართველის ოცნებაა, რაც შეიძლება მეტი ადამიანი, რაც შეიძლება მეტი ემიგრანტი დაუბრუნდეს თავის სოფელს, მიტოვებულ სახლკარს.

ეს არის საქმე, რომელსაც სჭირდებაძალიან დიდიძალისხმევა, მუდმივი ურთიერთობა რეგიონებში მცხოვრებ ხალხთან. ისევე, როგორც დღეს ვარ აქ, თელაველებთან,მე ჩავალ ყველა რეგიონში, ვიქნები ჩემს ხალხთან!

ქართული საზოგადოება ერთიანიაევროპული მომავლის საკითხის გარშემო. ჩემი არჩევითაც ქართველმა ხალხმა კიდევ ერთხელ ხმა მისცა ევროპულ გზას.

გაგრძელება **მე-4 გვერდზე**

PS news.ge
ISSN 1987-7056
9 771987 705004

საზოგადოებრივი ფონენდოსკოპი

საახალწლო პროგრამა ქუთაისში

ქუთაისის მერიის კულტურის, სპორტის, განათლების და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილებას საახალწლო პროგრამას უკვე მზადა აქვს და ის ასე გამოიყურება:

31 დეკემბერი:
N1 საახალწლო კუთხე-13:00 საათი ვერიკო ანჯაფარიძის სკვერის მიმდებარე ტერიტორია
საბავშვო საახალწლო კონცერტი
საახალწლო პერფომანსი
კოსტუმირებული მსვლელობა და საბავშვო წარმოდგენა
დრამერების შოუ-მსვლელობა
გასართობი პროგრამა ბავშვებისთვის საახალწლო ქოხებში
N2 საახალწლო კუთხე - 17:00 საათი თეთრი ხიდის მიმდებარე ტერიტორია
სამეჯლისო ცეკვების პერფომანსი
საფორტეპიანო მუსიკის კონცერტი დავით ალადაშვილის მონაწილეობით
N3 საახალწლო კუთხე - 12:00 საათი მონპლეზირის თაღის მიმდებარე ტერიტორია

ხელნაკეთი აქსესუარების გამოფენა-გაყიდვა, გიგანტური გოზინაყის დაგემოვნება

N4 საახალწლო კუთხე- ცენტრალური მოედანი, გალა-კონცერტი მონაწილეობენ: რობი კუხიანიძე & "აუთსაიდერი", ქეთათო ჩარკვიანი, ლუკა ზაქარიაძე
ელექტრონული მუსიკის შემსრულებლები DJ თადე, DJ კურა, DJ ზურკინ

1 იანვარი:
ქუთაისის კულტურის ცენტრინიღბების თეატრის წარმოდგენა 13:00 სთ, 15:00 სთ

2 იანვარი:
ქუთაისის კულტურის ცენტრინიღბების თეატრის წარმოდგენა 13:00 სთ
ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი
საახალწლო საბავშვო კონცერტი 16:00 სთ

3 იანვარი:
ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი- თოჯინების თეატრის სპექტაკლი 13:00 სთ

მიხეილ კალაიჯანი:..ჩემი თავი სხვა დარგში ვერ წარმომიდგენია"

მედიასახლი „პოსტსკრიპტუმი" (psnews.ge) აგრძელებს რუბრიკას „ფონენდოსკოპი". კვირის სტუმარია ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ფსიქოთერაპევტი მიხეილ კალაიჯანი.



პროლოგის მაგიერ:

მიხეილ კალაიჯანი 1982 წლის 20 აგვისტოს ქუთაისში დაიბადა, საშუალო განათლებაც ამავე ქალაქში მიიღო. 1997 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო კოლეჯის ქუთაისის ფილიალში ჩააბარა, რომლის დასრულების შემდეგაც ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო-სამედიცინო უნივერსიტეტში, ფსიქო-თერაპიული და ფსიქო-სომატური მედიცინის ფაკულტეტზე. 2005-2007 წლებში მუშაობდა ქუთაისის ფსიქო-ნერვოლოგიურ დისპანსერში უმცროს ექიმად, 2007 წლიდან დღემდე კი არის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრის ფსიქო-თერაპევტი.
ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

— ბატონო მიხეილ, რატომ დაუკავშირეთ თვენი ცხოვრება მედიცინას?

— ექიმების გარემოცვაში ვიზრდებოდი, შესაბამისად ეს სფერო ახლო და ნაცნობი იყო ჩემთვის, ამიტომ გადავწყვიტე სამედიცინო განათლება მიმეღო.

— ფსიქოთერაპია რატომაირჩიეთ?

— თავისი სპეციფიკური განსხვავებულობის გამო იმდენად მხიბლავდა ეს სფერო,რომ სხვა არჩევანის გაკეთება არც მიფიქრია.

— რას ნიშნავს თქვენთვის „პროფესია ექიმი"?

— სიტყვა "ექიმი" პირველ რიგში სიკეთესთან ასოცირდება, შემდგომ დიდ პასუხისმგებლობათან და შრომასთან.

— რა გასწავლათ ფსიქიკური პრობლემების მქონე პაციენტებთან ურთიერთობამ?

— მენტალური პრობლემებისგან დაზღვეული არავინაა, ამიტომხშირად წარმოვიდგენ თავს პაციენტების ადგილზე, რადგან შესაძლოა ერთ დღეს ნებისმიერი ჩვენგანი აღმოვჩნდეთ მათ ადგილზე. ჩემმა პროფესიამ თანასწორობა და მოვლენების პაციენტის თვალით აღქმა მასწავლა.

— საკმაოდ დიდი ხანია,რაც ამ სფეროში მოღვაწეობთ და რას ფიქრობთ, რა დონეზეა დღეს მედიცინა ფისიქატრიის მიმართულებით?

— თამამად შეიძლება ითქვას, რომ ფსიქიატრიის დარგი ბოლო წლებში საგრძნობლად განვითარდა, რადგან დაიწყო ახალი მიდგომებისა და პროგრამებისდანერგვა. გაიზარდა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის როლი, რაც მედიკამენტოზური მკურნალობის პარალელურად ეფექტურ შედეგს იძლევა. წინა წლებთან შედარებით პოზიტიური ცვლილებები ნამდვილად არის, თუმცა სამუშაო ჯერ ჯიდევ ბევრია.

— რა ადგილი უჭირავს ფსიქიკური ჯანმრთლობის ეროვნულ ცენტრს ფსიქიატრიის დარგში?

— დავიწყოთ იმით, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი ქვეყანაში ყველაზე დიდი ფსიქიატრიული დაწესებულებაა (700-მდე პაციენტის მიღება შეუძლია); ასევე ის ერთადერთი სამედიცინო დაწესებულებაა საქართველოში, რომელიც არანებაყოფლობით და იძულებით ფსიქიატრიულ-სტაციონარულ დახმარებას უწევს პაციენტებს.

აქ მუშაობენ დიდი გამოცდილების მქონე, მაღალკვალიფიციური კადრები, პარალელურად მოქმედებს რეზიდენტურის პროგრამა და იზრდებიან მომავალი სპეციალისტები. დაწყებულია ევროპული მოდელის დანერგვა, უწყვეტად მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები, ევროსტანდარტების შესაბამისი 100 პაციენტზე გათვლი ერთი კორპუსი უკვე გაიხსნა. რაც ყველაზე მთავარია, ეროვუნულ ცენტრში პაციენტებს მედიკამენტოზური მკურნალობის პარალელურად ვთავაზობთ თანამედროვე ფსიქო-სოციალურპროგრამებს, როგორიცაა: თვითშეფასების გაუმჯობესების მოდული , ემოციების მართვის მოდული, ხელოვნებითი თერაპია(სახვითი თერაპია, მუსიკათერაპია, ცეკვათერაპია,ზღაპართერაპია, მანდალათერაპია)დასაქმებითი (ოკუპაციური) თერაპია, კულტურულიაქტივობები და ა.შ. ცენტრის მულტიდისციპლინარული გუნდის წევრები თითოეული პაციენტის საჭიროებებზე მუშაობენ, რაც ხელს უწყობს პაციენტების რესოციალიზაციასა და საზოგადოებაში მათ სრულფასოვან წევრებად დაბრუნებას. მთელი დაწესებულება იბრძვის ფსიქიკური პრობლემების მქონე პირების მიმართ არსებული სოციალური სტიგმის დასამარცხებლად. ეს ყველაფერი მაძლევს უფლებას,ვთქვა რომ, ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს წამყვანი ადგილი უჭირავს, არა მხოლოდ რეგიონში, არამედ მთელ ქვეყანაში.

— რამდენად რთულია პროფესიული ეთიკის და სტანდარეტების დაცვა ამ სფეროში.

— რამდენი პაციენტიც გყავს, იმდენი დაავადებისა და სევდიანი ისტორიის მონაწილე ხდები. მკურნალობის პროცესში სანდო ექიმიც უნდა იყო და პაციენტის მეგობარიც. ფსიქიატრიის დარგის თანამშრომელს, პროფესიული ოსტატობის პარალელურად, განსაკუთრებული სამართლიანობა და კონფიდენციალურობა მოეთხოვება. შემაძრწუნებლად რთულ შემთხვევებთან გიწევს შეხება, რა თქმა უნდა, ამ პროცესის მართვა რთულია, მაგრამ დროს გამოცდილება მოაქვს და ნელ-ნელა ყველაფერს სწავლობ. ჰიპოკრატეს ფიცი იწყება სიტყვებით: „არ ავნო, ჰქმენი სიკეთე" — ვთვლი, ექიმისთვის უფრო დიდი ეთიკური სტანდარტი არ არსებობს.

— ფსიქიატრიის სტრესულ დარგში, 13-წლიანი პრაქტიკული მოღვაწეობის პროცესში ხომ არ გინანიათ ფსიქო-თერაპევტის პროფესიის არჩევა?

— არა, არასდროს მინანია, უფრო მეტიც, ჩემი თავი სხვა დარგში ვერ წარმომიდგენია.

ლიკა დევდარიანი

მაკდონალდს საქართველო McHappy Day — ქუთაისის დღის ცენტრს ადაპტირებულ მინივენს გადასცემს

„მაკდონალდსი" ყოველწლიური საქველმოქმედო აქციის Mc Happy Day-ის ფარგლებში ქუთაისის დღის ცენტრის „ჯადოსნური სამყარო"-ს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პატარებს დაეხმარება.

უკვე ტრადიციად ქცეული აქციიდან შემოსული თანხა არასამთავრობო ორგანიზაციას - განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრს (EDEC) გადაეცა, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვებისთვის ადაპტირებული მინივენის შეძენას. მინივენი მოხმარდება ბენეფიციარების ქუთაისის მიმდებარე სოფლებიდან, თერჯოლისა და სამტრედიის დღის ცენტრებიდან ქუთაისის დღის ცენტრში ტრანსპორტირებას, სადაც მათთვის აუცილებელ თერაპიას გადიან.

„დღის ცენტრი"-ს სერვისი ითვალისწინებს ბავშვების სხვადასხვა საჭიროებებზე მორგებულ მომსახურებას, მათი ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობას, საზოგადოებაში ინტეგრაციას, მიტოვების პრევენციისა და ოჯახის მხარდაჭერის მიზნით.

Mc Happy Day 1 ნოემბერს დაიწყო და ერთი თვის განმავლობაში მომხმარებლებს საშუალება ჰქონდათ „მაკდონალდსის ყველა რესტორანში სპეციალურად ამ აქციისთვის დამზადებული სუვენირები – სტიკერები, გასაღების საკიდები, ჩანთები და მისალოცი ბარათები შეეძინათ და მონაწილეობა მიეღოთ ქველმოქმედებაში.

მაკდონალდსი ყოველწლიურად მართავს McHappy Days-ს კამპანიას, რომელიც გულისხმობს სხვადსხვა საჭიროების მქონე ბავშვების დახმარებას. ამ გზით კომპანია მუდმივად ცდილობს ბავშვებისთვის გარემოს გაუმჯობესებას და მათ საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობას.

საქველმოქმედო აქციის შემაჯამებელი ღონისძიება, ქუთაისში აღმაშენებლის მოედანზე #1 მდებარე მაკდონალდსში 12 დეკემბერს გაიმართა. ღონისძიებას ესწრებოდნენ არასამთავრობო ორგანიზაციის - განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის (EDEC) წარმომადგენლები, სოციალური საწარმო „ფარშევანგის წარმომადგენლები და ბენეფიციარები მშობლებთან ერთად.

2017 წელს Mc Happy Days-ის ფარგლებში „მაკდონალდსი" არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად – „ხიდი სოციალური ინკლუზიისთვის" დაეხმარა და მთლიანად უზრუნველყო, ქუთაისის დღის ცენტრში სენსორული ოთახის მოწყობა. 2016 წელს რუსთავის ბავშვთა საავადმყოფოსთვის ექოსკოპიის აპარატი შეიძინა, ხოლო 2015-ში სოციალურ საწარმო „ქედელთან" თანამშრომლობის შედეგად, კოჯრის შშმ ბავშვთა სახლს მიკროავტობუსი უყიდა, რომელიც ბენეფიციარ ბავშვებს ემსახურება. Mc Happy Days-ის ღონისძიებები ასევე ითვლის დიმიტრი ცინცაძის ფონდის, ლეიკემიით დაავადებული ბავშვების და სხვა ორგანიზაციების დასახმარებლად გამართულ არაერთ საქველმოქმედო აქტივობას.

მცირე ბიზნესის განვითარების პროექტი გრძელდება

„ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივა - მცირე ბიზნესის განვითარების პროექტი 3" ინიცირებული და დაფინანსებულია BP-სა და მისი პარტნიორების მიერ საქართველოს მილსადენის კომპანიაში.

დასავლეთ საქართველოში პროექტი ხორციელდება ჭიათურის, ზესტაფონის, თერჯოლის, ბაღდათის, ვანის, სამტრედიის, აბაშის და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტების სამოც სამიზნე სოფელში. მას ახორციელებს კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი CTC.

პროექტის მთავარი მიზანია სოფლებში მცირე ბიზნესის ჩამოყალიბების და განვითარების შესაძლებლობების შექმნა, შემდგომი მდგრადობის უზრუნველყოფა და დაინტერესებული პირებისათვის ტექნიკური დახმარების გაწევა, მათთვის საჭირო ტრენინგებისა და კონსულტაციების საშუალებით.

მცირე ბიზნესის განვითარების პროექტი ხორციელდება 2012 წლიდან. ამა წლის აგვისტოდან დაიწყო მისი მესამე ფაზა, რომელიც გაგრძელდება 2021 წლის ბოლომდე. ის ითვალისწინებს საგრანტო კონკურსებში გამარჯვებული დამწყები და არსებული ბიზნესების მხარდაჭერას, შემდგომ მონიტორინგს და კონსულტირებას, სხვადასხვა სახის ტრენინგებს, შეხვედრებს ადგილობრივ მმართველობასთან და სხვ.

ახლახანს დასრულდა პირველი საგრანტო კონკურსი, რომელიც მიზნად ისახავდა სიცოცხლისუნარიანი ბიზნეს-იდეების გამოვლენას და მათ მხარდაჭერას. კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი იყო 250-ზე მეტი განაცხადი. იმისათვის, რომ კონკურსანტებს დამოუკიდებლად დაეწერათ სრულყოფილი ბიზნეს-გეგმა, მათ ჩაუტარდათ ორდღიანი ტრენინგები ბიზნესის დაგეგმარებაში. სულ სამეტაპიანი შერჩევის შედეგად დაფინანსება მოიპოვა 23-მა დამწყებმა და ორმა არსებულმა ბიზნესმა, რომლებმაც უკვე შეიძინეს მოთხოვნილი კაპიტალური აქტივები.

აუცილებელ პირობას წარმოადგენდა დამწებ მეწარმეთა მინიმუმ 30%-ანი თანადაფინანსება (არსებული ბიზნესების შემთხვევაში 40%), რომლის ფარგლებში მათ უნდა შეეძინათ საჭირო კაპიტალური აქტივების ნაწილი.

პროექტის მენეჯერის, მარიანა ლოთიაშვილის თქმით, დაფინანსებაზე არანაკლებ უფრო მნიშვნელოვანია ბენეფიციარების შესაბამისი ცოდნით აღჭურვა, რისთვისაც მათ უტარდებათ სწავლება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა შემოსავლების და ხარჯების ჟურნალის წარმოება, ბაზრის ანალიზი, მომხმარებლებთან ურთიერთობა, საგადასახადო უფლებები და მოვალეობები, პროფესიული უნარების გაღრმავება და სხვ. მისივე თქმით, მიმდინარე პროექტის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა შესაბამისობას სურსათის უვნებლობის არსებულ სტანდარტებთან და მოთხოვნებთან, რისთვისაც ოთხ დაფინანსებულ ბენეფიციარს უახლოეს დღეებში ჩაუტარდებათ შესაბამისი ტრენინგი.

პროექტის ბიზნესის განვითარების სპეციალისტების, ქეთო დვალიშვილის და ალექსი ხარშილაძის აზრით, „ეს პროგრამა ძალიან მნიშველოვანია, რადგან ხელს უწყობს სოფლიდან მოსახლეობის დენადობის გარკვეულწილად შეზღუდვას, რადგან რეალურ შანსს აძლევს მოტივირებულ და უნარიან ადამიანებს ადგილზე წამოიწყონ და განავითარონ მცირე ბიზნესი. გარდა ამისა, სოფლებში იქმნება დამატებითი პროდუქტი და სერვისები, რაც ხელს უწყობს ადგილობრივი ეკონომიკის გაძლიერებას".

ვინაიდან პროექტი ხორციელდება სოფლებში, მოსახლეობა მეტ დაინტერესებას გამოხატავს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მიმართ, თუმცა, როგორც გამოცდილება აჩვენებს, არსებობს საკმარისი პოტენციალი და დაინტერესება არასასოფლო წარმოებისა და სერვისების კუთხით. სწორედ ამის დასტურია ის, რომ დაფინანსებული 25 ბიზნესიდან ნახევარზე მეტი არასასოფლო-სამეურნეო მიმართულებისაა.

პროექტის აქტუალობას მოწმობს ის ფაქტიც, რომ სამიზნე სოფლებში მის მიმართ ინტერესი არ ნელდება, პირიქით, უფრო იზრდება, რადგან ადამიანები ხედავენ მასში ეკონომიკური გაძლიერების რეალურ საშუალებას. სხვა პროგრამებისგან განსხვავებით, რომლებიც უფრო მოწინავე ფერმერებზეა გათვლილი, პროექტი დამწყებ მეწარმეებს აძლევს შანსს, პირველი ნაბიჯები გადადგან და თანდათანობით განვითარდნენ. პროექტის მენეჯერის თქმით, სულ დასავლეთ საქართველოში პროგრამის დაწყების დღიდან დაფინანსდა 330 ბიზნესი რომელთაგან თითქმის 90% სიცოცხლისუნარიანი გამოდგა და აგრძელებს მუშაობას.

არ არის გასაკვირი, რომ პროექტს უაღრესად დადებითად აფასებენ მასში ჩართული ადამიანები, ვინც მისგან ამდენ სიკეთეს იღებს. ჩვენ გავეცანით პროექტის ფარგლებში დაფინასებულ ორ მცირე მეწარმეს. „არ მეგონა, საგრანტო კონკურსში თუ გავიმარჯვებდი, დიდი კონკურენცია იყო. უღრმესი მადლობა მინდა ვუთხრა BP-ს და კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრს, რადგან მათი დახმარების გარეშე მე ვერ შევიძენდი ძვირადღირებულ საკერავ მანქანებს," - ამბობს მაია მერკვილაძე, სანდომიანი ახალგაზრდა ქალბატონი ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. როდინაულიდან, რომელმაც პროექტის დახმარებით სამკერვალო საამქრო შექმნა. ის ასევე აღნიშნავს, რომ მისთვის ძალიან სასარგებლო და მნიშვნელოვანი იყო ბიზნესის დაგეგმარების ტრენინგი, რომელიც დაეხმარა მთლიანობაში დაენახა თავისი მინი-საამქროს საქმიანობის სურათი.

მის აზრს ეთანხმება თამარ გველესიანი, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. მეორე სვირიდან, რომელმაც პროექტის დახმარებით საკონდიტრო ბიზნესი წამოიწყო: „მადლიერი ვარ BP-სა და კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის, ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის ეს ბიზნესი ძალიან ბევრს ნიშნავს. ფაქტიურად, ეს არის ოჯახის შემოსავლის ძირითადი წყარო." თამარი ცოცხალი და საინტერესო ქალბატონია, სპეციალობით დიზაინერი და მუდმივად ცდილობს მეტი შეისწავლოს ტორტებისა და ნამცხვრების გაფორმებაზე.

მედიასახლი "პოსტსკრიპტუმი" ინტერესით ადევნებს თვალს პროექტის მსვლელობას და წარმატებებს უსურვებს შემდგომ საქმიანობაში.

ლიკა კაკუშაძე

საფრანგეთმა საქართველოს მოქალაქეების ლეგალურად მუშაობის შესახებ კანონი დაამტკიცა

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, დავით ზალკალიანის განცხადებით, საფრანგეთმა საქართველოს მოქალაქეების ლეგალურად მუშაობის შესახებ კანონი დაამტკიცა.

როგორც დავით ზალკალიანმა „ელჩების კონფერენცია 2018"-ის დაწყებამდე ჟურნალისტებს განუცხადა, საქართველოს მთავრობა და საგარეო საქმეთა სამინისტრო საქართველოს მოქალაქეების ლეგალური დასაქმების კუთხით შეთანხმების მისაღწევად პარტნიორ ქვეყნებთან აქტიურად მუშაობს.

„ჩვენ მნიშვნელოვანი ხელშესახები შედეგი გვაქვს. საფრანგეთთან გაფორმებული გვაქვს შეთანხმება, რომლის რატიფიკაციაც საფრანგეთის პარლამენტმა მოახდინა. გუშინ კი საფრანგეთის პრეზიდენტმა ამ შეთანხმებას ხელი მოაწერა, რომელიც უკვე კანონის სახით იქნება წარმოდგენილი. აღნიშნული შეთანხმება საქართველოს მოქალაქეებს საშუალებას მისცემს, საფრანგეთში ლეგალურად დასაქმდნენ. ეს ძალიან მნიშვნელოვანი მიღწევაა",- განაცხადა დავით ზალკალიანმა.

მინისტრის თქმით, ამ შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ საქართველოს ახალგაზრდა სპეციალისტებს, მათ შორის მათ, ვისაც უმაღლესი განათლება საფრანგეთში აქვთ მიღებული, შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ დროებითი ბინადრობის მოწმობა საფრანგეთში ლეგალური დასაქმების მიმართულებით.

„რა არის ამ კანონის ნიუანსები, როდის ამოქმედდება, ყველაფერს მოგვიანებით მოგახსენებთ, ამაზე შესაბამისი კომენტარები გაკეთდება. ამ მიმართულებით ჩვენ სხვა ქვეყნებთანაც ვმუშაობთ – პოლონეთთან და ისრაელთან. გარდა იმისა, რომ ამ საკითხზე ორმხრივად ვმუშაობთ, სხვა საერთაშორისო წამყვანი ორგანიზაციები, როგორიცაა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, ამ ორგანიზაციის ფარგლებში კონკრეტულ პროექტებიც გვაქვს. მათ შორის გასულ წელს პოლონეთთან იყო მსგავსი სახის პროექტი. ამ მიმართულებით საქართველოს ხელისუფლება მომავალშიც გააგრძელებს საქმიანობას. რადგან ეს ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა", - აღნიშნა საგარეო საქმეთა მინისტრმა.

წლის მთავარი მოვლენა -

საქართველომ თავისი არსებობის ისტორიაში პირველად აირჩია ქალი პრეზიდენტი

პირველი გვერდიდან

ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებამ, უვიზო მიმოსვლამ ძალიან დიდი პერსპექტივები გაგვიხსნა.დასავლელი მეგობრებისგან, პარტნიორებისგან მტკიცე მხარდაჭერა გვაქვს.

ეს პროცესი კიდევ უფრო უნდა დაჩქარდეს. ახალ კონსტიტუციაში ასახულიაქართველი ხალხის ნება - საქართველოს შეუფერხებელი სვლა ევროკავშირისა და ნატოსკენ.მე ჩვენისტრატეგიული პარტნიორის - ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპელიმეგობრებისდახმარებით ხელს შევუწყობ ამ პროცესს. ამისათვის გამოვიყენებ მთელ ჩემს გამოცდილებასა და კონტაქტებს საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ევროკავშირში.

ჩვენ თანამიმდევრულად გავაგრძელებთ მიზნისკენ სვლას, ღირსეულად გავუმკლავდებით შიდა თუ გარე გამოწვევებს, ბოლომდე მივიყვანთ ქვეყნისთვის მნიშვნელოვან რეფორმებს, კიდევ უფრო გავაძლიერებთ დემოკრატიულ ინსტიტუტებს.დემოკრატიული ცნობიერების ამაღლება ჩვენი ამოცანაა.

ჩვენ ევროპაში უთუოდ შევალთ, დაუნდაშევიდეთ ჩვენი ღირებულებებით, იდენტობით, კულტურით.

ქართველებს შეგვიძლია, მსოფლიოს გამოვადგეთ უძველესი, მდიდარი, თვითმყოფადი კულტურით, რომელიც ქრისტიანობაზე დგას. ქართულ ცივილიზაციას თამამად შეუძლია, დაიმკვიდროს თავისი ადგილი მსოფლიოში.

ჩვენი იდენტობა, ისტორიულად-,ტოლერანტობაში ვლინდება.სხვადასხვა წარმოშობის, მრწამსის ადამიანებთან მშვიდობიანი თანაცხოვრებისტრადიცია საუკუნეების განმავლობაში მოგვყვება. საქართველო თუნდაც იმით არის ცნობილი, რომ აქ არ არსებობს ანტისემიტიზმის არც ერთი მაგალითი. ტოლერანტობა არის ის, რაც დღეს, გარკვეულწილად, დააკლდა მსოფლიოს. ჩვენ ეს ტრადიცია ისე უნდა გავაძლიეროთ, რომ გავხდეთ მაგალითის მიმცემი. უნდა გავზარდოთ ქართული კულტურისა და იდენტობის ცნობადობა საერთაშორისო არენაზე.

კულტურა არის ის, რაზეც დგას სახელმწიფო! ამ მხრივ ძალიან ძლიერი საძირკველი გვაქვს. მას სჭირდება დაცვა, ყოველდღიური ზრუნვა და განვითარება. კულტურასმე ჩემს ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად ვაცხადებ.

კულტურა განათლების გარეშე არ მოიაზრება და მინდა აქ ყველა პედაგოგს, მასწავლებელს ჩემი პატივისცემა გამოვუცხადო, რამეთუ ისინი ზრდიან ჩვენს შვილებს, ანუ ქმნიან ჩვენს მომავალს.

მე ვარ პირველი ქალი პრეზიდენტი საქართველოს ისტორიაში.

ჩემი პრეზიდენტად არჩევით ჩვენ ვაგრძელებთ ტრადიციას: უფრო შორს რომ არ წავიდეთ, 100 წლის წინ, დემოკრატიული საქართველოს არჩევნებში ქალები თანასწორი უფლებებით სარგებლობდნენ, - არჩეულ იქნა 5 ქალი პარლამენტარი. ეს ევროპაში მაშინ იშვიათობა იყო!

დღესაც, ვდგამთ პროგრესულ ნაბიჯს. ეს არის ნაბიჯი, რომელიც ჯერ კიდევ გამონაკლისია მსოფლიოში, სადაც მხოლოდ 11 ქალია პრეზიდენტი. ამით ვამტკიცებთ, რომ საქართველოში ქალების როლი ძლიერდება დათანასწორობა ჩვენთვის უცხო სიტყვაარ არის.

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი

საქართველო დიდი გამოწვევების წინაშე დგას. აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთიოკუპირებულია რუსეთის მიერ. არსებობს საოკუპაციო ხაზი, რომელიც შემოდისქვეყნის ტერიტორიის სიღრმეში და საიდანაც ჩვენს მოქალაქეებს იტაცებენ. ეს სუვერენული სახელმწიფოსთვის მიუღებელია. ჩვენ ამას არ შეეგუებით!

ჩვენს მოსახლეობას სჭირდება მეტი ყურადღება და გაზრდილი უსაფრთხოება. ამ მიმართულებით უფრო მჭიდროდ უნდა ვითანამშრომლოთ პარტნიორებთან და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასთან.

უსაფრთხოების უფრო მაღალი დონის მისაღწევად გვჭირდება მეტი თანამშრომლობა ნატოსთან. შავი ზღვის უსაფრთხოების გაძლიერება ასევე ჩვენი ერთ-ერთიმთავარი მიზანია. ამ კუთხითაც მეტი, ძლიერიმხარდაჭერა გვჭირდება.

მე აქტიურად ვიქნები ჩართული ამერიკელ და ევროპელ პარტნიორებთან მოლაპარაკებებში, რათა რაც შეიძლება მალე მივაღწიოთ დასახულ მიზანს.

საქართველოს თავდაცვისუნარიანობა დამოკიდებულია ჩვენი სამხედრო ძალების პროფესიონალიზმზე, მზადყოფნაზე, თანამედროვე აღჭურვილობაზე, მტკიცე სახელმწიფოებრივ ცნობიერებაზე.

მე ვუცხადებ სრულ ნდობას საქართველოს შეიარაღებულ ძალებს. გამოვხატავ პატივისცემას ჩვენი ჯარისკაცებისა და ვეტერანების მიმართ. მინდა იყოთ დარწმუნებული, რომ მთლიანად ვიქნები ჩართული შეიარაღებული ძალების თავდაცვისუნარიანობის ამაღლებაში. ჯარის გაძლიერება და ქვეყნის დაცვის უზრუნველყოფა არის ჩემი მიზანი.

როგორც მთავარსარდალმა, აუცილებლად უნდა განვაცხადო, რომ ჯარის იდეოლოგიური და პოლიტიკური ნიშნით დაყოფის მცდელობები, რასაც ადგილი ჰქონდა ბოლო პერიოდში, არის სრულიად მიუღებელი. ეს აზარალებს სახელმწიფოს და აძლიერებს მტერს.

მე ჩავალ ავღანეთში ჩვენი ქვეყნის ჯარისკაცებთან, რომლებიც ღირსეულად და ზოგჯერ სიცოცხლის ფასად იბრძვიან ჩვენი პარტნიორების გვერდით. ისინი ებრძვიან გლობალურ საფრთხეებს, რომელიც ემუქრება მშვიდობას მსოფლიოში, რეგიონში და ჩვენს ქვეყანაში.

მშვიდობადა სტაბილურობა არის უმთავრესი პირობა კაცობრიობის წინსვლისთვის. მშვიდობიანი და სტაბილური კავკასია სჭირდება არა მხოლოდ რეგიონს, არამედ მთელ მსოფლიოს. საქართველომ უნდა გააძლიეროს თავისი პოზიცია კავკასიაში. ჩვენ შეგვიძლია ამ რეგიონში ჩვენი ისტორიული როლის დაბრუნება და ამ პასუხისმგებლობის აღება!

რუსეთმა, როგორც კავკასიის მეზობელმა, უნდა გააცნობიეროს, რომ თუ მას საერთაშორისო თანამეგობრობის სრულფასოვან წევრად ყოფნა სურს და ამ რეგიონში ნორმალური ურთიერთობების აღდგენას აპირებს, უნდა დაამტკიცოს, რომ სიტყვიერადაც და ფაქტობრივადაც აღიარებს საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმას. ეს აუცილებელია მის მეზობლებთან თანასწორი და მშვიდობიანი კავშირების დასამყარებლად.

საქართველო მდებარეობს რეგიონში, რომელიც მსოფლიოსთვის საინტერესო ეკონომიკური პროექტების განხორციელების შანსებს იძლევა. ჩვენ უნდა გავხდეთ ამ რეგიონში ეკონომიკური უსაფრთხოებისა და სტაბილურობის კერა და ამით გავზარდოთ ქვეყნის მიმზიდველობა.

ამისათვის გვჭირდება რაც შეიძლება მეტი ინიციატივა და ინოვაცია.ეს არის ახალგაზრდების დანიშნულება და მოვალეობა ქვეყნის წინაშე და წარმოადგენს რეალურ პერსპექტივას მომავალი თაობისთვის.მთელი ჩემი ძალებით მზად ვარ, გვერდით დავუდგემათ, ერთად მოვიზიდოთ ინვესტიციები და ხელი შევუწყოთ ახალი იდეების განხორციელებას.

ჩვენი საზოგადოების გაძლიერებისთვის უმნიშვნელოვანესია სოლიდარობა - პირველ რიგში, თაობათა შორის სოლიდარობა, რაც ისტორიულად გვახასიათებდა. ეს არ უნდა დაიკარგოს.

ასევე, სოციალურ სოლიდარობაზე დგას ძლიერი სახელმწიფო.იქ, სადაც არის თანაგრძნობა, ერთმანეთის გატანა, მხარდაჭერა, არის სტაბილურობა და იხსნება ყველა გზა წინსვლისკენ.

სოლიდარობა ნიშნავს იმას, რომ გვახსოვს და გვერდით ვუდგავართ ყველას, ვისაც თანადგომა სჭირდება: სოციალურად დაუცველებს, მარტოხელა დედებს,შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს.

მე ვიქნები ჩვენი დევნილების გვერდით. მე კარგად ვიცი, რაზე დგას მათი ოჯახები - ძალიან დიდ მოთმინებაზე, სიმტკიცეზე და იმედზე! და ეს იმედი გვაერთიანებს!

მჯერა, რომ საქართველო გამთლიანდება. უნდა გვახსოვდეს, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ცხოვრობენ ადამიანები, რომლებიც ჩვენი მოქალაქეები არიან, და ისინი უნდა შემოვირიგოთ. ჩვენ აფხაზებთან და ოსებთან გავლილი გზა გვაერთიანებს, ერთმანეთის ნათესავები ვართ, შერეული ოჯახები გვყავს!უნდა მოვნახოთ ახალ თაობასთან მისასვლელი გზებიდა მათ გავუკვალოთ გზა ევროპისკენ. დღეს, როგორც არასდროს,აფხაზურ ენასა და იდენტობას დაცვა სჭირდება!

ჩვენს ქვეყანას სჭირდება დამშვიდება დაგანვითარება.ჩვენ გვაქვს ძლიერი ადამიანური რესურსი, გვაქვს ეკონომიკური პოტენციალი, მოდის შესანიშნავი,ნიჭიერი თაობა.მთავარია, დავრწმუნდეთ საკუთარ თავში, საკუთარ შესაძლებლობებში და ავიღოთ პასუხისმგებლობა ჩვენს მომავალზე. მე ჩამოვედი, მე დავბრუნდი იმიტომ, რომ ჩემი ქვეყნის მჯეროდა და მჯერა! ჩვენ უნდა გვჯეროდეს საქართველოს მომავლის! დამოუკიდებელი, ძლიერი, თავისუფალი, თანამედროვე, ევროპული, ღირსეული ქვეყანა - ეს არის საქართველოს მომავალი!

ღმერთი ფარავდეს საქართველოს!"

P.S.

მთავარი რედაქტორი: ნატო გუბელაძე ● **დიზაინი:** ირმა ბახუტაშვილი ● **მისამართი:** ქუთაისი. რუსთაველის №37ᵃ ● (0 431) 24-45-46. ● psnews27@gmail.com ● www.psnews.ge

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე.

გამომცემელი — შპს „P.S." („პოსტსკრიპტუმი"). ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია №5/ბ-1401 გაზეთ „P.S."-ის კლასიფიკაციის კოდი: **UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054) ბ - 658 P - 86**